ს.ს.ი.პ.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

09.09.2009 № 105

(თბილისი)

/სტუ-ს №59 (04.06.2009წ.) ბრძანებაში
ცვლილების შეტანის შესახებ/

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე და სტუ-ს ფაკულტეტების დეკანების ერთობლივი მოხსენებითი ბარათის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შევიდეს ცვლილება სტუ-ს №59 (04.06.2009წ.) ბრძანებაში და ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„1. სტუ-ს სწავლების ყველა საფეხურის სტუდენტს, 2008-09 სასწავლო წლის სწავლის საფასურის დავალიანებისა და დარიცხული ჯარიმის (გადაუხდელი თანხის 10% ოდენობით) გადახდის ვადა გაუგრძელდეთ 2009 წლის 23 ოქტომბრამდე."

„2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სტუდენტი გაირიცხოს უნივერსიტეტიდან."

2. სტუდენტებისათვის ბრძანების გაცნობა დაევალოს ყველა ფაკულტეტის დეკანს.
3. ბრძანება განთავსდეს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და სასწავლო კორპუსებში თვალსაჩინო ადგილას და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, მისამართზე - ქ. თბილისი უზნაძის ქ.№52 ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მისამართზე - ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6.

რექტორი,
პროფესორი ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,
პროფესორი ქ. ქოქრაშვილი

სამართლებრივი უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი ბ. მაისურაძე